ჩემი წილი სუფთა ჰაერი ნუთუ საინტერესო არ არის, დღის რომელ მონაკვეთში გვეწვევა ხოლმე კოსმოპოლიტური სულისკვეთება და ნათლად როდის ვიაზრებთ სამყაროში მიმდინარე მოვლენების აქტუალობას,აი მაგალითად იმას რომ "სოფელში მივდივარ,იქნებ ჰაერი გამოვიცვალოო" ფრაზამ მნიშვნელობა სრულებით დაკარგა.ჩვენ-ამ ფრიად დიდებულმა პიროვნებებმა ,ჰომ ისე გადავაწყ-გადმოვაწყეთ მსოფლიოში რაღაც "პატარ-პატარა საქმეები",რომ ჯანსაღი,სუფთა ჰაერის ცნება უტოპიურ იდეად,ან სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ სურვილად ვაქციეთ.მგონი ცოტათი დაგაბნიე,თან არც ჩემ მიერ დასმული კითხვისთვის გამიცია პასუხი,რომელიც მოსალმების ნაცვლად შემოგაჩეჩე და მაინცდამაინც არც ის ამიხსნია, რაზე გავმართე ამხელა სჯა-ბაასი,ამიტომ ორიოდე სიტყვით გაგეცნობი და ვეცდები ამომწურავად,მაგრამ არა გრძლად,ლაკონურად,მაგრამ არა ზერელედ და მონდომებით,მაგრამ შენი დაქანცვის გარეშე გადმოქცე,ჩემი მოსაზრებანი(მკითხველო,შენი ობიექტურობის იმედი მაქვს,რომ მოლაყბედ არ განმკიცხავ,ჩვენ ჰომ ერთად უნდა ვიმოგზაუროთ ჩემს აქა-იქ მიმოფანტული მოსაზრებების არც თუ ისე უინტერესო სამყაროში)ყოველივე ზემოთ ნახსენებზე(როგორი ოფიციალური ვარ ,არა?). მე აზა ვარ,16 წლის გოგონა,რომელიც "გაიგუდა" დანარჩენ რვა მილიარდ ადამიანთან ერთად.რითი გავიგუდეთ?ჰმ,ურიგო კითხვა არაა,ამიტომ მოდი საკადრის პასუხსაც გავცემ:გავიგუდეთ იმ რეალობით,რომელიც სავსეა საკუთარი ხელითვე შექმნილი სიბინძურით,უსამართლობით,ქარხნების გამონაბოლქვითა თუ მათი მეპატრონეების კანონდარღვევებით,არასასიამოვნო სუნითა და ჩვენი-მოქალაქეების უმოქმედობით.რაც შეეხება ჩემი კოსმოპოლიტური სულისკვეთების ამაღლებას(სასაცილოდ ჟღერს),ეს სწორედ ორშაბათ-პარასკევობით,პირველ საათზე-სკოლაში,გეოფრაფიის გაკვეთილებზე ხდება ხოლმე.რთული არ იქნება ამ პასუხის მიზეზის გამოცნობა,თუკი ერთხელ მაინც გადაშლით მეთერთმეტე კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელოს და თვალწინ გადაეყრებით იმ მრავალ გლობალურ საკითხთა ჩამონათვლიდან ერთ-ერთს,რომელიც გლობალურ დათბობასა და ჰაერის დაბინძურებას ეხება,ჩვენ ჰომ სწორედ ამ დროს გვიწევს გავეცნოთ ამ საკითხებთან დაკავშირებულ ტექსტებს,ფაქტებს,რეალურ სტატისტიკებსა თუ რიცხვებს,რომლებიც არაფერს გვამცნობენ, თუ არა წინასწარმეტყველებას,იმ რისკებისა და სავალალო შედეგებისა,რომლებიც აუცილებლად მოგვიღებს ბოლოს,თუ არ "მივდექ-მოვდექით",ხელი არ გავანძრიეთ და ისევ უმოქმედობას დავუდეთ საფუძველი.უახლოეს წარსულში იმდენად მოვიხიბლეთ ფეხის განძრევის გარეშე 1 კილომეტრის გავლის,სწრაფი მოდის აყოლის,ერთდროულად 10 მანქანის ქონის,ნაგვის მარტივად,არაგონივრულად წვის,გარემოს დაბინძურებისა თუ უფილტრო ქარხნების გამოყენების შედეგად მოსალოდნელი თანხების დაზოგვის იდეით რომ ზღვარს გადავცილდით,ახალი გლობალური პრობლემები შევიქმენით და ამდენი "თხრით" მრავალი კატა გამოვთხარეთ,გლობალური პრობლემების სახით.იქნებ საერთოდ,არც კი იყოს საჭირო გეოგრაფიის გაკვეთილებისთვის ლოდინი და სტატისტიკების კითხვა ჰაერის დაბინძურების თაობის შესახებ,თუკი ჩვენს გახელილ თვალებსა და ყურებს თავიანთ დანიშნულებისამებრ გამოვიყენებთ და უბრალოდ თვალს მოვავლებთ ჩვენს გარშემო მიმდინარე მოვლენებს,არა იმას რომ რამდენიმე კვირის წინ

აიფონის ახალი მოდელი გამოვიდა,არამედ იმას რომ “ უვნებელი” სმარტფონის შექმნით ჰაერში მავნე ნივთიერებების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა,არა იმას რომ ქეითი ფერიმ კოსმოსში გაფრენა და ესთეტიური ფოტოების გადაღება გადაწყვიტა,არამედ იმას რომ ამით მან ხელი შეუწყო ატმოსფეროში ნახშიროჟანგის გავრცელებას,არა იმას რომ ჩვენს საყვარელ ინფლუენსერებს საკუთარი თვითმფრინავები და ათობით მანქანა აქვთ,არამედ იმას რომ ამით ისინი გამონაბოლქვის გამოყოფის სიხშირეს მეტად ზრდიან,არა იმას რომ ათასობით “კარგი” ქარხანა შენდება და არც იმას რომ მრავალი ბრენდული ტანსაცმელი გვაქვს,არამედ იმას რომ მათ წარმოებაზე უამრავი ენერგია იხარჯება,რაც საბოლოოდ ჰაერში მავნე ნივთიერებების გამოვლენით სრულდება.ნუთუ საკმარისი არაა უბრალოდ თვალი გავუსწოროთ ამ მოვლენებს,შევეშვათ მდიდრული ცხოვრების რომანტიზირებას,თითოეული ჩვენთაგანის ქმედება გავიაზროთ დედამიწის მიმართ და მივხვდებით,რომ ის კლიმატურ-გლობალური პრობლემები,რომლებიც მილიონობით წლის განმავლობაში არცერთ სულიერ არსებას არ წარმოუქმნია,ჩვენ,ფრიად ამბიციურმა ოცდამეერთე საუკუნის საზოგადოებამ მოვახერხეთ ,რომ წარმოგვექმნა,ამასთან ერთად შევძელით სულ რაღაც ნახევარ საუკუნეში მიწასთან გაგვესწორებინა ბუნების ყოველი სიკეთე,ოცჯერ გაგვეზარდა ნახშიროჟანგის შემცველობა ჰაერში,გაგვენადგურებინა ენდემური ფლორა-ფაუნა,დაგვებინძურებინა ოკეანეები,გაგვექრო მწვერვალები თუ ტბები,ბოროტად გამოგვეყენებინა სასარგებლო წიაღისეულები,სათავე დაგვედო “სათბურის ეფექტის” დამკვიდრებისთვის და დიდი წარმატებით გადაგვექცია წმინდა და სუფთა სამყარო,რომელმაც უამრავი შესაძლებლობა გვაჩუქა იმ დაბინძურებულ და დეგრადირებულ ადგილად,რომელიც სათანადოდ,ვერც კი დავაფასეთ.და რა ხდება ახლა? რა კეთდება ამის აღმოსაფხვრელად?ყველაფერი და არაფერი.რა თქმა უნდა,თითო-ოროლა ქარხანას მართლაც დაუყენდა საფილტრე აპარატი,ევროპაში ახალი ღონისძიებები დაიგეგმა მაქანის გამოყენების შესამცირებლად,ევროპელმა პრეზიდენტებმაც დაიწყეს ველოსიპეტებით გადაადგილება და ნივთიერებების გადამუშავების კულტურამაც ასე თუ ისე გაიდგა საფუძველი,თუმცა ამ სასიამოვნო წვეთებს ზღვაში,მასშტაბური გავლენა ცხადია, არც ჰქონიათ და ჩვენ კვლავ საქმიანად ვაგრძელებთ ახალი ქარხნებისა თუ მანქანების წარმოებას,მათთვის ფილტრების მოხსნას,სწრაფი მოდის დამკვიდრებას,სიმდიდრის აღმნიშვნელი ქონების შესყიდვას,არაკეთილგონივრული,დედამიწისთვის ზარალის მომტანი საქმეებისთვის ხელის მოკიდებას და რა თქმა უნდა, არც ფეხით მოსიარულეებისთვის გაგვიყადრებია თავი და სათადარიგო მანქანებიც კვლავ დაგვტრიალებენ თავს.აი სწორედ ამას ვგულისხმობ:ყველაფერს ვაკეთებთ,მაგრამ რეალურად არაფერი კეთდება.გაინტერესებთ ,თუ სად მიდის იმ თითო ოროლა ადამიანის ძალისხმევა,რომლებიც ყოველდღიურად ცდილობენ ეკოლოგიური რეალობის შეცვლას?ნუთუ დასაფასებელი არაა მათი ძალისხმევა?აბსოლუტურად,აბსოლუტურად,აბსოლუტურად დიახ,მაგრამ ერთ მერცხალს გაზაფხული როდიდან მოუყვანია?საჭიროა ჩვენ,არა როგორც სახელმწიფოს,არამედ როგორც დედამიწის მოქალაქეებმა გავიაზროთ ჩვენ მიერ ჩადენილი თითოეული არასწორი ქმედების როლი დედამიწისა თუ სხვა ადამიანების მიმართ,რომლებიც თავიანთუნებურად ეწირებიან

დაუფიქრებელი გადაწყვეტილებებისგან გამოწვეულ რისკებს,საჭიროა ტელეფონი გვერდზე გადავდოთ,გარეთ გავიხედოთ და რაღაცებზე მეტად დავფიქრდეთ,მაგალითად იმაზე თუ რამდენი ცხოველი იღუპება ჰაერის ა თუ წყლის დაბინძურების შედეგად,რამდენი ადამიანი გარდაცვალებას იწვევს თითოეული მოქალაქის დაუფიქრებელი ნაბიჯი გარემოს მიმართ,რამდენი ბუნებისეული სიწმინდის განადგურება ხდება უკანასკნელი წლების განმავლობაში და იქნებ მივხვდეთ,რომ ცვლილებების დროა,რომ ბევრი დრო აღარ გვაქვს,რომ საბოლოოდ უნდა დავემშვიდობოთ ბნელ,ბინძურ წარსულს და სუფთა ფურცელი შევქმნათ,რომელზეც მრავალი ახალი თაობის ცხოვრება დაიწერება,რომ ჩვენი,დედამიწის მაცხოვრებლებისეული ვალდებულებები და ღირებულებები მეტად უნდა გავითავისოთ,ემპათიას მოვუხმოთ,აპათია დავივიწყოთ და ახალ აზროვნებას დავუდოთ საფუძველი,რაც გამოგვაფხიზლებს და დაგვარწმუნებს,რომ იმედი არსებობს და ის ჩვენს ხელთაა.სწორედ ამ დროს მივხვდებით,რომ დედამიწას მართლაც სიყვარული ატრიალებს ჩემო მკითხველო. სწორედ რომ ჩემი მოსაზრებით,ჩემ მიერ დაწერილი ესეთი მსურს დაგანახვო ჩემი წილი ნაფიქრალი,რომელმაც მინდა შეგვცვალოს,გამოგვაფხიზლოს და როგორც ილია იტყოდა მუდამ მოძრაობაში და მოძრაობაში მოგვიყვანოს,რადგან “ქვეყანა ტაძარი კი არაა, საცა კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და მუშაობდეს!”.სწორედ ზემოთნახსენები, მთელი რიგი ნაფიქრალია ჩემებური სუფთა ჰაერი,რომელიც ისევეა შენი,როგორიც სხვისი.

აზა კახნიაშვილი,16 წლის.მე-11 კლასი.ქალაქ რუსთავის ნომერ 26-ე საჯარო სკოლა.მობ:574750635.kakhniashviliaza@gmail.com